# ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

# 2011/2012 სასწავლო წელი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური

**კათედრა:** პედაგოგიკა–მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული

**სალექციო კურსის (საგნის) დასახელება და მისი კოდი:** „სოციალური ფსიქოლოგია" P.2.F.02

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო-არჩევითი მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**კრედიტების რაოდენობა:** 5 ECTS

**საკონტაქტო საათები:** ორშაბათი, სამშაბათი 14სთ-დან 15სთ-მდე.

**ლექტორი:** ასოც. პროფესორი: ნინო ბასილაშვილი ტელ: 558-48-44-22

**სალექციო კურსის აღწერა:** „სოციალური ფსიქოლოგია" წარმოადგენს სავალდებულო-არჩევით სალექციო კურსს პედაგოგიური ფაკულტეტის განათლების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო კურსი მოიცავს, როგორც ლექციებს, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. კურსის პრაქტიკული ნაწილი უზრუნველყოფს სტუდენტის შემეცნებას იმის ირგვლივ, თუ როგორია სოციალური გარემო და თუ როგორ მოვახდინოთ თანამედროვე პირობებში ურთიერთობების მოგვარება ცხოვრებაში და ადამიანებს შორის. სალექციო კურსის ხანგრძლივობაა ერთი აკადემიური სემესტრი, კვირაში ორი სააუდიტორიო შეხვედრა (ლექცია-სემინარი). ე.ი. სულ 125 საათი. აქედან, 30 სთ სტუდენტებისა და ლექტორის საკონტაქტო საათებია, ( კვირაში 2 ლექცია, 1 სემინარი) ხოლო დანარჩენი 95 სთ – სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის წილია. ninojashiashvili@mail.ru

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:**

სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც სწავლობს ადამიანთა ქცევასა და საქმიანობას სოციალურ ჯგუფში. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხები, როგორ ხდება ადამიანთა ჩართვა სოციალურ გარემოში, რას ფიქრობენ ადამიანები ერთმანეთზე და როგორ ექცევიან ერთმანეთს. რა განსაზღვრავს საკუთარი და სხვისი ქცევის ახსნას. რა განსხვავება და მსგავსებაა სქესთა შორის. როგორ განსაზღვრავს კულტურა ქცევას, რატომ ვემორჩილებით სოციალურ ზეწოლას, რა არის განწყობა და რწმენა, კონფორმიზმი და დამოუიკიდებლობა, რა არის ჯგუფი და რა პროცესები მიმდინარეობს ჯგუფში, რამდენად განვიცდით ჯგუფის

გავლენას. ახდენს თუ არა უმრავლესობა გავლენას უმცირესობაზე და პირიქით. რა იწვევს აგრესიას და რატომ ვეხმარებით სხვებს.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა** (პრერეკვიზიტი): ზოგადი ფსიქოლოგია

**სალექციო კურსის შედეგი:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა სოციალურ ფსიქოლოგიაში | ფლობს ღრმა ცოდნას ადამიანთა ქცევასა და საქმიანობის შესახებ სოციალურ ჯგუფში, აგრეთვე, სოციალურ გარემოზე, სოციალურ გავლენაზე, სოციალურ ჯგუფებზე და მასში მიმდინარე პროცესებზე, პროსოციალურ ქცევაზე.ფლობენ საკმარის ცოდნას სისტემური თეორიების გამოყენებისათვის. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია კურსის შესაბამისი ფსიქოლოგიური კვლევების შედეგების დახასიათება და მათი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ამოცანებზე მორგება; ფლობს კონკრეტული მიზნის მქონე ფსიქოლოგიური დაკვირვების ჩატარების ტექნიკას და შეუძლია კონკრეტულ სიტუაციაში მისი დაგეგმვა და განხორციელება. |
| კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ ეფექტური კომუნიკაცია | შეუძლიათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, პრეზენტაციის მომზადება და წარმოდგენა |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუ-თარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეეძლებათ მოვლენების არსის განსაზღვრა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა |
| დასკვნის უნარი | შეეძლებათ დაკვირვებების საფუძველზე დასკვნების გამოტანა | შეეძლებათ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, განზოგადება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა |
| ღირებულებები | განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. | იცავს და აფასებს სხვის დამოკიდებულებას სოციალურ ურთიერთობებთან მიმართებაში |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

## სალექციო კურსის სტრუქტურა

**I – II კვირა**

სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი, მიზანი, ამოცანები, სოციალური გავლენა, სოციალური ჯგუფები და მასში მიმდინარე პროცესები.სოციალური ფსიქოლოგიის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

**ლიტერატურა:**

1. ნადირაშვილი, შ. (1999 წ) *პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია.* თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
   გვ. 4-20
2. იმედაძე, ი. (2005 წ) *ფსიქოლოგიის საფუძვლები.* გამომცემლობა „ენა და კულტურა" გვ. 358-369
3. მაიერსი, დ. (2000 წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა „პიტერი" გვ. 14-27

**III კვირა:**

სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები. სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებები.სოციალური ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე. პრაქტიკული მეცადინეობა.

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ. 7-29
2. იმედაძე, ი. (2005 წ) *ფსიქოლოგიის საფუძვლები.* გამომცემლობა „ენა და კულტურა" გვ. 369-371

**IV – V კვირა**

სოციალიზაციის რაობა.სოციალური დასწავლის თეორიები. თვითშეფასება.
შუალედური წერა

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ. 31-66
2. მაიერსი, დ. (2000 წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა „პიტერი" გვ. 367-368

**VI კვირა**

პიროვნებათშორისი ურთიერთობებით გამოწვეული გავლენა.

**ლიტერატურა:**

იმედაძე, ი. (2005 წ) *ფსიქოლოგიის საფუძვლები.* გამომცემლობა „ენა და კულტურა" გვ. 373-378

**VII – VIII კვირა**

კონფორმულობა და საზოგადოება. დამთმობლობა. მორჩილება. ავტორიტარიზმი. შემბრალებლობა. მომტევებლობა. ალტრუიზმი. კონფლიქტი და შერიგება.

შუალედური წერა

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.71-98
2. მაიერსი, დ. (2000 წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა „პიტერი" გვ. 427, 462-463

**IX კვირა**

ატიტუდები და ატიტუდის შეცვლა.

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.99-126

**X კვირა**

დევიაცია.

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.127-148

**XI კვირა**

პროსოციალური ქცევა.

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.149-180

**XII კვირა**

აგრესია. აგრესიის გავლენა სოციალურ გარემოზე. აგრესიის სახეები. აგრესიის გამოვლინების ძირითადი ფორმები: შეძენილი აგრესია. აგრესიის გადალახვის გზები პედაგოგიურ პროცესში.

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.181 -214

2. მაიერსი, დ. (2000 წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა „პიტერი" გვ. 459

**XIII კვირა**

ჯგუფები. ჯგუფთაშორისო ურთიერთობები.

შუალედური წერა

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.214-253
2. მაიერსი, დ. (2000წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა "პიტერი" გვ.466-480

**XIV – XV კვირა**

კოლექტიური ქცევა.

**ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი" გვ.253-304

2. მაიერსი, დ. (2000 წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა „პიტერი" გვ. 394

**სტუდენტის შეფასების სისტემა:**

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები, და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

- შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1)შუალედური წერა მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);ჩატარდება მერვე და მე-13 კვირის ბოლოს.

2) ზეპირი გამოკითხვა მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა) ჩატარდება ოთხჯერ. ორი გამოკითხვა ჩატარდება პირველი რვა კვირის განმავლობაში, შემდეგი ორი კი მეორე შვიდი კვირის განმავლობაში.

3) ზეპირი პრეზენტაცია მაქსიმუმ 10 ქულა. სტუდენტი ირჩევს საპრეზენტაციო თემას და წარმოადგენს ნებისმიერ დროს, პრეზენტაცია ფასდება შემდეგი ქულებით:

თემის გასაგებად წარმოდგენა- მაქსიმუმ 4 ქულა

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა- მაქსიმუმ 4 ქულა

ვიზუალური საშუალებების გამოყენება- მაქსიმუმ 2 ქულა

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით.

II. დასკვნითი (საბოლოო) გამოცდა – 40 ქულა

შენიშვნა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

კრედიტი ენიჭება სტუდენტს 51 ქულაზე. გამოცდის ხანგრძლივობაა 2 საათი. თითოეული მოთხოვნის შესრულების დროსთან დაკავშირებით სტუდენტი წინასწარ გაფრთხილდება.

შუალედური მუშაობისა და დასკვნითი გამოცდის შეჯამების შემდეგ, სტუდენტს მიენიჭება დადებითი შეფასებები:

A (ფრიადი) _91 ქულა და მეტი

B (ძალიან კარგი) _81-90 ქულა

C (კარგი) _71-80 ქულა

D (დამაკმაყოფილებელი) _61-70 ქულა

E (საკმარისი) _51-60 ქულა

უარყოფითი შეფასებები: FX (ვერ ჩააბარა) ეძლევა დამატებით გასვლის უფლება _41-50 ქულა

F (ჩაიჭრა) ახლიდან აქვს შესასწავლი _40 ქულა და ნაკლები.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. ბალიაშვილი, მ. (2010 წ) *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* თბილისი. გამომცემლობა. " მწიგნობარი"

2. ნადირაშვილი, შ. (1999 წ) *პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია.* თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. მაიერსი, დ. (2000 წ) *სოციალური ფსიქოლოგია.* სანკტ-პეტერბურგი. გამომცემლობა „პიტერი"